პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ЛЕЛО

№ 104 (5134)

1974 წ. 28 მაისი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუნიორ „კლასიკოსთა" საკავშირო ჩემპიონატში, რომელიც ვოროშილოვგრადში ჩატარდა, საქართველოს დინამოელებმა ბრწყინვალე წარმატებას მიაღწიეს: რ. აბრამიშვილი, ე. მაჩაიძე, თ. აფხაზავა და ა. მინასიანი I ადგილებზე გავიდნენ, ა. მაისურაძეს ხვდა II ადგილი, ი. ქუდელ კი — III.

„ლელოს" კორესპონდენტმა თბილისში დაბრუნებულ სპორტსმენებსა და მწვრთნელებს ერთი შეკითხვა მისცა: რით იყო საინტერესო განვლილი ჩემპიონატი და რამ მოახდინა თქვენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება?

# ჩემპიონები



## რაიდი აბრამიშვილი

ასპარეზობდა 57 კგ წონითს კატეგორიაში. თბილისის დინამოელია. დაამთავრა გლდანის სკოლა-ინტერნატი. ამჟამად საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში შესასვლელად ემზადება. შარშან ჩელიაბინსკში სსრ კავშირის თასი მოიგო.

— ყველაზე მეტად იაროსლაველ კორჩაგინთან შეხვედრა დამამახსოვრდა. მეტოქემ პირველი პერიოდი მოიგო, მერე კი აქტიურ ბრძოლას მოერიდა. მე გამუდმებით ვუტევდი, მაგრამ იგი ყრუ დაცვაზე გადავიდა. მსაჯებმა ორჯერ გააფრთხილეს კორჩაგინი, მერე კი მოხსნეს კიდეც. მე, რა თქმა უნდა, შეხვედრის გაგრძელება მერჩივნა, ვინაიდან ბრძოლის ჟინით ვიყავი აღსავსე. მაგრამ მეტოქე, როგორც ვთქვი, სხვა გზას დაადგა და... თუმცა ახლაც არაფერი მაქვს სასაყვედურო.



## ედიშერ მაჩაიძე

68 კგ. თბილისის დინამოელია. საშუალო სკოლა ფრიადზე დაამთავრა. სწავლობს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე. შარშან სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა ჭაბუკთა შორის.

— ჩემთვის ყველაზე ძლიერი მეტოქე ერევნელი კოტიკიანი იყო, რომელსაც უწინაც შევხვედრივარ, მაგრამ უარყოფითი ბალანსი მქონდა. პოდდუბნის თასის მფლობელი მართლაც გამოცდილი მებრძოლია, თანაც ამ ტურნირში ჩემზე უკეთესი მდგომარეობა ჰქონდა. მას ფრეც ხელს აძლევდა, მე კი მხოლოდ გამარჯვება მჭირდებოდა. სარბიელზეც სწორედ გამარჯვების რწმენით გამოვედი და საწადელს მივაღწიე. ჩემპიონის წოდება მეც და ჩემს ამხანაგებს გვავალებს ნუდმივად ვიყოთ ფორმაში, მით უმეტეს, რომ მოკლე ხანში ახალი, ძნელი გამოცდები გველის.



## თემურ აფხაზავა

74 კგ. ქუთაისის 33-ე პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე, დინამოელი, პროფესიით ზეინკალი. შარშან მეგობრობის ტურნირში (გდრ) I ადგილი დაიკავა.

— ყველაზე პასუხსაგები ბრძოლა მეექვსე წრეში მქონდა. მანამდე ხუთივე შეხვედრა წმინდად მოვიგე და ფავორიტად ვითვლებოდი, მაგრამ მეექვსე წრეში ერთ-ერთი რთული ილეთის შესრულებისას ნეკნი ვიტკინე. ბრძოლის შეწყვეტა I ადგილის დაკარგვას ნიშნავდა. სწორედ ამ კრიტიკულ მომენტში ამომიდგნენ მხარში თანაგუნდელები და მწვრთნელები. თვალწინ დამიდგა ჩვენი სახელოვანი ჩემპიონი რომან რურუა, რომელმაც ერთ-ერთ ტურნირში ტრავმის მიუხედავად განაგრძო ბრძოლა და გაიმარჯვა. მეც განვაგრძე შერკინება, მოვიგე ეს შეხვედრა, შემდეგ — ფინალური ბრძოლაც და I ადგილზე გავედი.



## აირაპეტ მინასიანი

90 კგ. სოხუმის დინამოელი. კარგა ხანია, რაც ტოლი არ ჰყავს საკავშირო სარბიელზე: იყო სსრ კავშირის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის, ახლა კი იუნიორებშიც მოიპოვა ეს წოდება.

— მოხარული ვარ, რომ ჩემპიონატის „რეკორდსმენის" სახელი მომანიჭეს. ვჭიდაობდი ისე, როგორც ვიცოდი. ყველა შეხვედრას პირველივე პერიოდში ვიგებდი და საბოლოო ჯამში შვიდ წმინდა გამარჯვებას 8 წუთი და 22 წამი მოვანდომე. მახსოვს, ერთ-ერთი ბოლო შერკინების წინ საკავშირო ნაკრების მწვრთნელებმა ხუმრობით მითხრეს: აირაპეტ, ცოტა დიდხანს მაინც იჭიდავე, რომ შენი შესაძლებლობანი შევამოწმოთო. იმაზე დიდი სიხარული მოჭიდავისთვის, მოგეხსენებათ, არაფერია, ვიდრე ნაკრების მწვრთნელთა აღიარება.

# ბოლო იარაღმა გადაწყვიტა

დონის როსტოვი, 26 მაისი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). ჩვენ უკვე ვიუწყებოდით გუნდურ შეჯიბრებაში „დინამოს" ტანმოვარჯიშე ქალთა გამარჯვების ამბავს. გუშინ გამოვლინდა ჩემპიონი ვაჟთა კოლექტივებს შორის. ეს არის სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების I გუნდი. II ადგილი დაიკავა „დინამომ", III — შეიარაღებული ძალების მეორე ნაკრებმა. გუნდური ბრძოლის გარდა, სპორტსმენები ცდილობდნენ პირადი პირველობისთვისაც რაც შეიძლება მეტი ქულა მიეღოთ.

აბსოლუტური ჩემპიონის სახელისთვის ბრძოლა ვაჟთა შორის უმთავრესად გაიმართა ბურევესტნიკელ ნ. ანდრიანოვსა და არმიელ ვ. კლიმენკოს შორის. თუ სავალდებულო პროგრამის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო ანდრიანოვმა, ნებისმიერი ვარჯიშები უკეთ შეასრულა მისმა მთავარმა მეტოქემ და ახლა კლიმენკო დაწინაურდა 0,2 ქულით. ყველაფერი უნდა გაერკვია დღევანდელ დასკვნითს ასპარეზობას. ორძელზე ორივე მეტოქემ ერთნაირი შეფასება (9,5) მიიღო. ბჯენითი ხტომის დროს ანდრიანოვი დასკვნითს ფაზაში ხელით შეეხო ლეიბს და შეფასებაც ნაკლები ჰქონდა — 9,25. სამაგიეროდ კლიმენკოს ტაიჭზე მოეცარა ხელი — 9,2.

ბოლო იარაღზე — ღერძზე ვარჯიშის წინ ანდრიანოვს 0,2 ქულით მეტი ჰქონდა. ღერძზე მან მიიღო 9,45 ქულა, ხოლო კლიმენკომ — 9,55. ანდრიანოვის გამარჯვება თითქოს ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ საქმეში ჩაერია სააპელაციო ჟიური, რომელმაც არმიელი სპორტსმენის ვარჯიში 9,65 ქულით შეაფასა. და აი, ორივეს თანაბარი ქულები (112,7) დაუგროვდა. ამრიგად, ანდრიანოვსა და კლიმენკოს სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის სახელი მიენიჭათ.

III ადგილზე გავიდა მინსკელი ა. მალეევი — 110,8. მომდევნო ადგილებზე არიან: ვ. ბოიკო (მოსკოვი) — 110,45, პ. შამუგია (თბილისი) — 109,95, ბ. კინევი (გროზნო) — 109,8.

თუ ვაჟებში ჩემპიონობისთვის ბრძოლა ფაქტიურად ორ სპორტსმენს შორის მიმდინარეობდა, ქალთა შორის როსტოველი ლ. ტურიშჩევა მიუწვდომელი აღმოჩნდა. იგი ბოლო დღეს თითქმის შეუცდომლად ასრულებდა ყოველ მოძრაობას. როცა თავისუფალ ვარჯიშში 9,8, ორძელზე და დვირზე კი 9,7 ქულა მიიღო, ყველაფერი გარკვეული იყო: აბსოლუტური ჩემპიონის სახელს მას ვერავინ შეეცილებოდა. გამარჯვებულის შედეგია 77,35 ქულა.

II ადგილი დაიკავა გროდნოელმა ო. კორბუტმა (76,625), III — ჩიმკენტელმა ნ. კიმმა (75,925).

ჩემპიონატმა გვიჩვენა საბჭოთა ტანვარჯიშის უდავო წინსვლა. განსაკუთრებით ეს ითქმის ქალებზე, სადაც, სახელმოხვეჭილ სპორტსმენთა გარდა, ბრწყინვალე ილეთებს ასრულებდნენ სულ ნორჩი ტანმოვარჯიშეებიც.

ამას ვერ ვიტყვით ვაჟებზე. მართალია, თითო-ოროლა ახალგაზრდა სპორტსმენი მაღალ ოსტატობას ავლენდა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის, რადგან კარგა ხანია მსოფლიო ჩემპიონატებსა და ოლიმპიურ თამაშებში სსრ კავშირის ვაჟთა გუნდს ძალიან უჭირს იაპონიის ნაკრებთან გამკლავება.

მოკრძალებული შედეგები აღმოაჩნდათ საქართველოს ტანმოვარჯიშეებს. ნ. დრონოვა აშკარად არ იყო მზად ასეთი საპასუხისმგებლო შეჯიბრებისთვის, რ. სიხარულიძესაც აკლდა ბრძოლის ჟინი. პ. შამუგიამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ უძლიერესთა რიგებში ყოფილიყო და მისი V ადგილი საპატიოა.

საერთოდ, ჩვენში ნაკლები ყურადღება ექცევა მაღალკვალიფიციური ტანმოვარჯიშეების აღზრდას. იუნიორთა ასპარეზობებში საქართველოს წარმომადგენლები მუდამ მოწინავეთა რიგებში არიან, მაგრამ მათს შემდგომ დაოსტატებაზე, ეტყობა, სათანადოდ აღარ ზრუნავენ. ისეთი მდიდარი ტრადიციების მქონე რესპუბლიკა, როგორიც საქართველოა, დიდ ასპარეზობებში ორი-სამი ძლიერი სპორტსმენის გამოყვანით ფონს ვერ გავა.

# ახალი [illegible]-74

● კიროვსკი, 26 მაისი. სსრ კავშირის აკადემიის 250 წლისთავს მიეძღვნა მძლეოსანთა ტრადიციული შეჯიბრება აკადემიკოს ფერსმანის სახელობის პრიზზე. სტარტზე გამოვიდნენ კიროვსკის, აპატიტის, კანდალაკშის, მონჩეგორსკის, მურმანსკისა და სევერომორსკის წარმომადგენლები. მათ სტარტი აიღეს ხიბინში, იქ, სადაც აკადემიის პირველი ექსპედიციის კარავი იდგა, ფინიში კი იმიერპოლარეთში მდებარე ახალგაზრდა სამეცნიერო ცენტრის სტადიონზე ჰქონდათ. 24-კილომეტრიანი მანძილი ყველაზე სწრაფად გაირბინა კანდალაკშელმა ვ. მოსტოვიკოვმა — 1:16.57.

● მონინო, 26 მაისი. რუმინეთის რაგბის ჩემპიონმა — ბუქარესტის „სტიაუას" რაგბისტთა გუნდმა დღეს აქ გამართულ ამხანაგურ მატჩში ანგარიშით 10:9 (6:6) სძლია სსრ კავშირის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორს, გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდს. პარასკევს რუმინელები სსრ კავშირის ჩემპიონთან — მოსკოვის „ფილისთან" დამარცხდნენ — 0:6 (0:6).

● კიევი, 26 მაისი. ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა უკრაინის დედაქალაქში გამართული მატჩით დაამთავრა ტურნე სსრ კავშირში. სტუმრები აქ უკრაინის ნაკრებს შეხვდნენ და გაიმარჯვეს ანგარიშით 107:95 (52:44). მასპინძელთა შორის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე იყო ა. სალნიკოვი (48 ქულა), ხოლო სტუმართაგან — ლ. რობინსონი (26 ქულა), აშშ-ს გუნდმა საბჭოთა ქვეყანაში 6 მატჩი მოიგო და 3 წააგო.

● ლენინგრადი, 26 მაისი. ლენინგრადისა და მოსკოვის მძლეოსანთა ტრადიციულ მატჩში გაიმარჯვეს მოსკოველებმა — 400:374. მაღალი შედეგების მოპოვებას გრილ ამინდში გაჩაღებული მწვავე მეტოქეობა უწყობდა ხელს. მოსკოველმა ფ. მელნიკმა 69,02 მეტრზე ტყორცნა ბადრო. ეს შედეგი საუკეთესოა წლეულს მსოფლიოში. ჭოკით მხტომელთა შორის თავი გამოიჩინა ვ. ტროფიმენკომ, რომელმაც ლენინგრადის რეკორდი დაამყარა — 532 სმ. მისმა თანაქალაქელმა ვ. ვოიკინმა გაიმარჯვა ბირთვის კვრაში — 19,78 მ.

◆ ალბუკერკი (ნიუ მექსიკოს შტატი), 27 მაისი. სსრ კავშირის კალათბურთელ ქალთა ნაკრებმა ამერიკაში მიმდინარე ტურნეს მორიგ მატჩში აქ ანგარიშით 79:41 დაამარცხა მასპინძელი ქვეყნის ეროვნული გუნდი. ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებთან რიგით ამ მეოთხე შეხვედრაში, რომელიც ადგილობრივი უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში გაიმართა, კვლავ გამოიჩინა თავი საბჭოთა ნაკრების კაპიტანმა ნ. ზახაროვამ. უაღრესად დინამიკურ, კომბინაციურ თამაშში მან თავის გუნდს 18 ქულა შესძინა. ალბუკერკის მცხოვრებნი გულთბილად შეხვდნენ სტუმართა გამარჯვებას.

◆ ვარნა, 27 მაისი. საერთაშორისო შეჯიბრება თასზე „მშვიდობა და მეგობრობა" კურორტ ოქროს ქვიშის რაიონში ჩატარდა. ეს იყო ორიენტირებაში ასპარეზობა. ვაჟთა შორის I ადგილი დაიკავა სსრ კავშირის გუნდმა — 2:02.18. ქალებში ბულგარელებმა გაიმარჯვეს.

გაზეთი ... იყო... $19^{45}$

# მეტრეველის და კოროტკოვის კარგი სტარტი

რომი, 27 მაისი. იტალიის ღია ჩემპიონატში კარგად აიღეს სტარტი საბჭოთა ჩოგბურთელებმა — თბილისელმა ა. მეტრეველმა და მოსკოველმა ვ. კოროტკოვმა: პირველმა უნგრელ ბ. ტაროცის სძლია (6:3, 6:4), ხოლო მეორემ — ამერიკელ ს. ფაულკს (6:1, 6:3).

ამ შეჯიბრების კლასიფიკაციით მეტრეველი VIII ადგილზეა, ხოლო მოსკოველი ო. მოროზოვა — მეთხეზე.

## ჩოგბურთელთა ნახევარფინალური წყვილები

დევისის თასის გათამაშებაში ევროპის „ა" ზონის ნახევარფინალური წყვილები ასეთია: შვეცია — იტალია და საფრანგეთი — რუმინეთი. „ბ" ზონის ნახევარფინალებში ერთმანეთს შეხვდებიან ჩეხოსლოვაკია — გფრ, სსრ კავშირი — იუგოსლავია.

ეს მატჩები ივლისში გაიმართება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობას რა უნდა!..

# საფუძველი შარშან ჩაეყარა

იუნიორ კლასიკოსთა საკავშირო ჩემპიონატში გამარჯვებულნი გაზეთის პირველ გვერდზე ესაუბრნენ მკითხველებს. ამჯერად სიტყვას გადავცემთ ახალგაზრდული გუნდის უფროს მწვრთნელს დ. დავითაიას.

— შარშან საქართველოს ახალგაზრდებმა დიდად გამოიჩინეს თავი: ალმა-ათის საკავშირო პირველობაში გუნდური გამარჯვება მოიპოვეს და საფუძველი ჩაუყარეს იუნიორ კლასიკოსთა წლევანდელ წარმატებასაც. მაგრამ ერთი წლის მანძილზე გუნდის შემადგენლობაში არსებითი ცვლილებები მოხდა: იუნიორთა სარბიელი დატოვეს ხალაძემ, ბერიშვილმა, ლეჟავამ, ბაბიაშვილმა. შემდგომი წინსვლა მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი ცვლა ეყოლებოდათ „ვეტერანებს".

პირდაპირ უნდა ვთქვა, რომ თაობათა ცვლა უმტკივნეულოდ ჩატარდა. „ვეტერანები" არანაკლებ ნიჭიერმა და პერსპექტიულმა ახალგაზრდებმა შეცვალეს. სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ იუნიორთა ჩემპიონატის დებიუტანტებმა აბრამიშვილმა, მაჩაიძემ და ხუხუამ (ეს ახალგაზრდა ცხაკაიელი ათლეტი IV ადგილზე გავიდა) ბრწყინვალედ გაართვეს თავი სატურნირო სირთულეებს და მტკიცედ დაიმკვიდრეს ადგილი უძლიერესთა შორის. ცხადია, საუკეთესოთა ჯგუფში იყვნენ ვერცხლის პრიზიორი მაისურაძეც (მძიმე წონა) და III ადგილზე გასული ჯულელიც (62 კგ).

შეჯიბრება საუწყებო იყო და მოჭიდავეთა მომზადებას უმთავრესად სპორტსაზოგადოებათა ცენტრალური საბჭოები ხელმძღვანელობდნენ. მაგრამ ასპარეზობის წინ ყველა ჩვენი მოჭიდავე ერთად შევკრიბეთ და გადამწყვეტი ბრძოლებისთვის სწორედ აქ მოვამზადეთ. გულითადი მადლობა მინდა გადავუხადო იმათ, ვინც ვორომშილოვგრადის წარმატებაში გარკვეული წვლილი შეიტანა. ესენი არიან: საქართველოს მოზრდილთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ილია ჩხარტიშვილი, საქართველოს „დინამოს" მწვრთნელი, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი გურამ დათიაშვილი, აგრეთვე, ჩემპიონთა და პრიზიორთა უშუალო აღმზრდელები ილია ბობოხიძე (ქუთაისი), ვალარშაკ მაჩკალიანი (სოხუმი) და კარლო ჯოჯუა (ცხაკაია).

## ყველა ჩემპიონი საქართველოდანაა

„ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს ძიუდოისტთა პირად-გუნდურმა პირველობამ გორში 11 მოკავშირე რესპუბლიკის, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრებ გუნდებს მოუყარა თავი.

მონაწილეთა შორის ბევრი სახელოვანი ათლეტი იყო. ამან, რა თქმა უნდა, ერთიორად გაზარდა ტურნირისადმი ინტერესი. მართალია, ზოგიერთი ფავორიტი ამჯერად დამარცხდა, მაგრამ მათ პოზიციები გამბედავ, იმედიან ახალგაზრდებს დაუთმეს. ასე რომ, შეჯიბრებამ გაამართლა თავისი დანიშნულება.

გუნდური ბრძოლის სადავეები სტარტიდანვე ხელთ იგდეს საქართველოს მოჭიდავეებმა (მწვრთნელები გ. პაპიტაშვილი და მ. გოგოლაური). ყოველ ახალ წრეს ახალი გამარჯვება მოჰქონდა ჩვენი გუნდისთვის. საბოლოოდ საქართველოს ძიუდოისტებმა დიდი უპირატესობით მოიპოვეს I ადგილი. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ბელორუსიის, რუსეთის ფედერაციის, უკრაინისა და ლენინგრადის წარმომადგენლები.

დიდი ინტერესი გამოიწვია შეხვედრებმა აბსოლუტურ წონით კატეგორიაში. ოლიმპიურ ჩემპიონს შ. ჩოჩიშვილს საკმაოდ ძლიერი მეტოქეები ჰყავდა, მაგრამ ფავორიტმა ყველა შეხვედრა მოიგო. ფინალში გორელი ათლეტის მეტოქე ვორონეჟელი ბ. შივილოვი იყო. ბრძოლა სამ წუთს გაგრძელდა — გამარჯვება ოლიმპიურ ჩემპიონს დარჩა.

გთავაზობთ პრიზიორთა სიას:

63 კგ. 1. გ. ჩოჩიშვილი (საქართველო), 2. ვ. კოროლიუკი (ბელორუსია), 3. დ. კოდანოვი (საქართველო) და გ. პშენიჩნიკოვი (მოსკოვი).

70 კგ. 1. ნ. ბეინიშვილი (საქართველო), 2. ვ. კომაროვი (რსფსრ), 3. ბ. გუგავა და ვ. საბაშვილი (ორივე — საქართველო).

80 კგ. 1. ს. ქარელი, 2. ჯ. კბილაშვილი (ორივე — საქართველო), 3. ვ. ზიპი (უკრაინა) და ნ. ბრიტკოვი (რსფსრ).

93 კგ. 1. თ. ხუბულური (საქართველო), 2. ა. ლელა (ლენინგრადი), 3. ა. სოხაძე და ა. ნოვიკი (ორივე — ბელორუსია).

მძიმე. 1. შ. ჩოჩიშვილი, 2. გ. თანდელოვი (ორივე — საქართველო), 3. ი. კოჟარსკი და ლ. დუბოვიკი (ორივე — ბელორუსია).

აბსოლუტური წონა. 1. შ. ჩოჩიშვილი (საქართველო), 2. ბ. შივილოვი (რსფსრ), გ. თანდელოვი (საქართველო) და ი. ვოდარენკო (მოსკოვი).

ი. თევდორაშვილი.
(ჩვენი კორ.).

გორი.

# ...მსაჯებმა ცუდი შთაბეჭდილება დატოვეს

როგორც ცნობილია, ამას წინათ ლონდონში ჩატარდა ევროპის ძიუდოისტთა ჩემპიონატი. საბჭოთა ნაკრებს ამ პასუხსაგებ ტურნირში თან ახლდა მისი ერთ-ერთი მწვრთნელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ბ. მაზიაშვილი, რომელმაც ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს გაუზიარა შთაბეჭდილებები. აი, რა გვიამბო მწვრთნელმა:

არც ერთი საერთაშორისო ტურნირი და ჩემპიონატი წლევანდელივით მძაფრი არ ყოფილა. ინგლისელმა მსაჯებმა ჩემზე ცუდი შთაბეჭდილება დატოვეს: ისინი რატომღაც ზედმეტ მომთხოვნელობასა და აშკარა პედანტიზმს იჩენდნენ ზოგიერთი გუნდისადმი, თავიანთი სპორტსმენების მიმართ კი საოცრად ლოიალური იყვნენ.

ადგილობრივ მსაჯთა არაობიექტურობამ ყველაზე ძალუმად თავი გუნდურ ასპარეზობაში იჩინა. ბოლოს მოხდა ისე, რომ თითქმის ყველა დელეგაციამ პროტესტი განაცხადა ამ უმსგავსობათა გამო. სამართლიანი ინგლისელი მაყურებელი უკმაყოფილებას ვერ ფარავდა და ხშირად ხმამაღლა ლანძღავდა თანამემამულეებს. ამის გამო ჩემპიონატზე ნერვული ატმოსფერო სუფევდა. მართალია, ბოლოს და ბოლოს ყველაფერი კეთილად დამთავრდა, მაგრამ ეს საბჭოთა ძიუდოისტების სიძლიერემ უფრო განაპირობა, ვიდრე ინგლისელი არბიტრების სინდისის ქენჯნამ.

„ლელოს" მკითხველებმა ზოგადად იციან ჩემპიონატის ამბები. მოსკოვში დაბრუნების შემდეგ შევიტყვეთ, რომ პრესაში ბევრი რამ არც გაშუქებულა, ამიტომ უფრო დაწვრილებით მინდა შევჩერდე ცალკეულ ძიუდოისტთა გამოსვლებზე, განსაკუთრებით კი — საქართველოს სპორტსმენთა შედეგებზე.

დავიწყოთ ყველაზე პატარა წონით, სადაც სსრ კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი ძიუდოისტი შენგელი ფიცხელაური ასპარეზობდა. ფიცხელაურმა ტურნირი კარგად დაიწყო და ჯგუფური შეხვედრების ბოლოსწინა წრემდე გამარჯვების მთავარ პრეტენდენტად ითვლებოდა. შენგელისთვის საბედისწერო გამოდგა ინგლისელ და კოსტასთან შეხვედრა. ჩვენმა თანამემამულემ ერთ მომენტში ლამაზი ილეთი შეასრულა, მაგრამ მეტოქე ხალიჩის იქით დავარდა. და კოსტამ პანიკა ატეხა, წელი აიტკივა. გაიმართა მსაჯთა სახელდახელო თათბირი და, სრულიად მოულოდნელად, ფიცხელაურს უხეშობისთვის წაგება ჩაუთვალეს. ამ უსამართლო განაჩენით იგი ოქროს მედლისთვის ბრძოლას გამოეთიშა.

კიდევ კარგი, ამ წონაში დაგვრჩა მეორე ფავორიტი, ეს იყო სერგეი მელნიჩენკო, რომელმაც წარმატებით ჩაატარა ყველა ბრძოლა და გუნდს ოქროს მედალი მოუტანა. ფიცხელაურმა დიდი უპირატესობით მოიგო ყველა დარჩენილი შერკინება, მაგრამ ბრინჯაოს ჯილდოზე უკეთეს პრიზს ველარ მიიღებდა.

საშუალო წონაში პირველობისთვის მებრძოლთა შორის ორნი სსრ კავშირიდან იყვნენ — ანდრეი ციუპაჩენკო და გურამ გოგოლაური. ციუპაჩენკოს მესამე წრეში ზუსტად ის შეემთხვა, რაც ფიცხელაურს — ბრალი დასდეს უხეშად სოქეცი მეტოქესო და მასაც წაგება ჩაუთვალეს. ეს მოხდა სანუვემო ტურნირში, მანამდე კი ციუპაჩენკოს წაგებული ჰქონდა შერკიბება კოშესთან.

ვითომდა უხეშობის მსხვერპლი გახდა გურამ გოგოლაურიც (პოლონელ რეიტერთან შეხვედრაში). ამ უსამართლობამ იგი წონასწორობიდან გამოიყვანა. გოგოლაურმა უფერულად იჭიდავა სანუვემო ტურნირში ინგლისელ დიბელიუსთან და ასპარეზობას გამოეთიშა.

ქვემძიმე წონაში საინტერესო იყო ამირან მუზაევისა და ინგლისელი სტარბრუკის შერკინება. გამოცდილმა ინგლისელმა მოჭიდავემ მცირე უპირატესობით აჯობა ამირანს, მაგრამ მომდევნო წრეში თვითონ დამარცხდა იუგოსლაველ ზუველასთან. ძიუდოს წესების თანახმად, მუზაევს ბრძოლის უფლება წაერთვა, ვინაიდან მისი მძლეველი დამარცხდა. ისე კი, უნდა ითქვას, რომ იუგოსლაველის გამარჯვება ამ წონაში ჩემპიონატის მთავარი სენსაცია იყო. ჩემი აზრით, მასზე გაცილებით ძლიერი მოჭიდავეები საერთოდ ვერ გავიდნენ საპრიზო ადგილებზე. მაგრამ რას იზამ, სპორტში ზოგჯერ ასეთი ლაფსუსებიც ხდება.

გივი ონაშვილმა ლონდონში ხუთივე შეხვედრა წმინდად მოიგო. უნდა ითქვას, რომ ასე მონდომებით და გამიზნულად მას არასოდეს უჭიდავია. ინგლისის პრესამ განსაკუთრებით აღნიშნა მისი წარმატება. გივი ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მონაწილე იყო. ამ წონაში ასპარეზობდა ჯიბილო ნიჟარაძეც, მაგრამ მას ბედმა უმტყუნა ინგლისელ რემფრისთან შეხვედრაში. ამ ბრძოლის შემდეგ მსაჯთა აზრი გაიყო. ხანმოკლე თათბირის მერე გამარჯვება ინგლისელს მიაკუთვნეს. სხვა შედეგს არც ველოდით, ვინაიდან წარმოუდგენელი იყო, რომ რაიმე დავა მსაჯებს ჩვენს სასარგებლოდ გადაეწყვიტათ.

აბსოლუტური წონის ფინალში, როგორც იცით, ორი საბჭოთა ათლეტი იბრძოდა — უკრაინელი სერგეი ნოვიკოვი და ქართველი შოთა ჩოჩიშვილი. მეტოქეთა ძალები დაახლოებით თანაბარი ჩანდა. ბრძოლის ბედი გადაწყვიტა შემთხვევამ: ნოვიკოვმა კარგად გამოიყენა მეტოქის წამიერი უყურადღებობა, გარე ხარმა გააკეთა და მეტოქე ხალიჩაზე დასცა.

პირადი ტურნირის შემდეგ გუნდური ჩემპიონატი დაიწყო. საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში მოხვდნენ ფიცხელაური, დვოინიკოვი, გოგოლაური, მუზაევი და ნოვიკოვი. პირველი შეხვედრა შვეციის გუნდთან ჩვენმა ბიჭებმა „მშრალი" ანგარიშით (5:0) მოიგეს. გდრ-ის ძიუდოისტებთან მატჩი ფრედ (2:2) დამთავრდა. ფიცხელაურმა და გოგოლაურმა წააგეს შეხვედრები, მუზაევმა და ნოვიკოვმა კი გაიმარჯვეს (ვიტალი დვოინიკოვის ფრე ანგარიშში არ შევიდა). მაგრამ საბოლოო ჯამში უპირატესობა საბჭოთა გუნდს მიეკუთვნა, ვინაიდან ქულათა რაოდენობა მას უკეთესი აღმოაჩნდა.

საბჭოთა კავშირის ნაკრების შემდეგი მეტოქე საფრანგეთის ძიუდოისტთა კოლექტივი იყო. ამ დროისთვის ჩვენს გუნდში ცვლილება მოხდა: ფიცხელაურმა ადგილი დაუთმო მელნიჩენკოს, გოგოლაურმა კი — ციუპაჩენკოს. მატჩი საბჭოთა მოჭიდავეებმა მაღალ დონეზე ჩაატარეს და გაიმარჯვეს — 4:0. აღსანიშნავია მუზაევის წმინდა გამარჯვება ევროპის მრავალგზის ჩემპიონ რუჟესთან.

ბოლო შეხვედრა, რომელსაც გამარჯვებული გუნდი უნდა დაესახელებინა, ინგლისელებთან გვქონდა. პირველი ქულა ინგლისელებმა მელნიჩენკოს დამარცხებისთვის მიიღეს, მერე დვოინიკოვმა გამოასწორა მდგომარეობა — მეტოქეს წმინდად მოუგო. ციუპაჩენკოს ფრემ მეტოქეთა შანსები თანაბარი დატოვა. ბრწყინვალედ იჭიდავა მუზაევმა სტარბრუკთან. ამირანმა ძლიერი მეტოქე პირდაპირ დაჯაბნა — 7:0. ბოლო შერკინება ნოვიკოვმა წააგო და ანგარიში ისევ გათანაბრდა — 2:2. საინტერესოა, რომ მეტოქეებს ამჯერად ქულათა რაოდენობაც თანაბარი აღმოაჩნდათ. ასეთ შემთხვევაში მსაჯთა კოლეგია სამი წყვილისთვის დამატებით კენჭისყრას აწყობს.

და აი, ხანმოკლე შესვენების შემდეგ სარბიელზე ისევ გამოვიდნენ მელნიჩენკო, დვოინიკოვი და ციუპაჩენკო. ამჯერად ჩვენი ბიჭების გადაწყვეტილება მტკიცე იყო და, მართლაც, სამივემ დაამარცხა მეტოქეები. ამით მათ სსრ კავშირის ნაკრებს გუნდური გამარჯვება მოუტანეს.

გუნდური ასპარეზობის მონაწილეთაგან განსაკუთრებით მინდა გამოვყო ამირან მუზაევი, რომელმაც დიდი აღმაფრენით იჭიდავა და ყველა სახელოვანი ფავორიტი დაამარცხა. ასე რომ, ოქროს მედალი, რომელიც მუზაევმა გუნდური გამარჯვებისთვის მიიღო, სავსებით შეესაბამება მის მონდომებას, მაღალ ოსტატობასა და თავგანწირვას.



# რინგზე — არმიელი მოკრივეები

გუშინწინ თბილისის ცირკის შენობაში დაიწყო შეიარაღებული ძალების იუნიორ მოკრივეთა ზონალური შეჯიბრება. ასპარეზობაში მონაწილეობს სამხედრო ოლქებისა და ფლოტების 100-ზე მეტი მოკრივე. მათ შორის არიან ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის წარმომადგენლები. სარბიელზე გამოდიან ძირითადად 19–20 წლის ყმაწვილები, რომელთა მომზადების დონე ოსტატობის კანდიდატისა და პირველი თანრიგის ნორმატივებს შეეფარდება. უმრავლესობა ჯერ კიდევ გამოუცდელია. ამით აიხსნება, როგორც ჩანს, ის რომ ბრძოლების უმეტესობა ვადამდე მთავრდება, მაგალითად, პირველი დღის საღამოს პროგრამაში 13 ბრძოლიდან 7 ვადამდე დამთავრდა. ამის მიზეზი გახლავთ წარბის დაშავება, მოუმზადებლობის გამო დისკვალიფიკაცია, სეკუნდანტის უარი.

მაგრამ იყო კარგი ბრძოლებიც. ტექნიკურად, საზრიანად ჩაატარა შეხვედრა შორეული აღმოსავლეთის სამხედრო ოლქის წარმომადგენელმა ა. ილიჩენკომ (პირველი ქვესაშუალო წონა) ჩრდილოეთის ფლოტის წარმომადგენელ მ. პეტრიაკოვთან. ძალიან დაძაბული იყო პირველი საშუალო წონის მოკრივეთა ს. გუსევისა (ციმბირის სამხედრო ოლქი) და ი. გუშჩინის შეხვედრა, სადაც მხოლოდ მინიმალური უპირატესობით გაიმარჯვა გუშჩინმა.

ახლა კი იმათზე, ვინც ვადამდე გამოეთიშა ბრძოლას: ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მოკრივე ნ. ბაბაიანცა (პირველი ქვესაშუალო წონა) პირველივე რაუნდში დაამარცხა ვ. ტერეხინი (თურქმენეთის სამხედრო ოლქი), რომელსაც წარბი გაუსკდა. აშკარა უპირატესობით პირველივე რაუნდში ვ. ვასილიევმა (წყნარი ოკეანის ფლოტი) მოუგო ვ. ჩერნიშოვს (ოდესის სამხედრო ოლქი). მესამე რაუნდში დისკვალიფიკაცია უყვეს არმიის ცენტრალური ჯგუფის წარმომადგენელს ვ. გეტმანჩუკს ვ. ალექსეევთან (ჩრდილოეთის ფლოტი) შეხვედრაში.

ასეთივე სურათია პირველ საშუალო წონაში. სეკუნდანტების უარის გამო, გამარჯვება მიეკუთვნათ ს. აბრამიანს (შორეული აღმოსავლეთის ოლქი) და ვ. ფომინს (წყნარი ოკეანის ფლოტი). ტექნიკური მოუმზადებლობის გამო ი. მირონოვს (შავი ზღვის ფლოტი) წაგება ჩაეთვალა ნ. მიხაილოვთან (შუა აზიის სამხედრო ოლქი).

მძიმე წონაში ორი წყვილი გამოვიდა და ორივე ბრძოლა ვადამდე დამთავრდა. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის წარმომადგენელმა დ. ქურდულიამ მხოლოდ რამდენიმე წამი დაჰყო რინგზე, ვინაიდან მის მეტოქეს ლ. გორბატკოს წარბი გაუსკდა და ბრძოლა ვერ გააგრძელა. პირველივე რაუნდში რინგზე დანებების ნიშნად პირსახოცი ისროლა ვ. კუზმინიხის სეკუნდანტმა, ვინაიდან მის მეტოქეს ა. კორნილოვს (ორივე — თურქმენეთის სამხედრო ოლქი) აშკარა უპირატესობა ჰქონდა.

შეჯიბრება გრძელდება.

ზ. ქვათაძე.

• • •

სურათზე: ვ. კუზმინიხისა და ა. კორნილოვის შეხვედრის მომენტი. შუაში — მსაჯი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ნავასარდოვი (თბილისი).

მ. ზარგარიანის ფოტო.

# ცვლილება კალენდარში

სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩი მოსკოვის „დინამოს“ და „ნისტრუს“ შორის 9 ივნისის ნაცვლად შედგება 8 ივნისს.

## უმაღლესი ლიგა

### გათამაშების ცხრილი

დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 28 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ კ. | 7 | 4 | 3 | 0 | 7—3 | 11 |
| „შახტიორი“ | 7 | 4 | 1 | 2 | 13—6 | 9 |
| „ზენიტი“ | 7 | 3 | 3 | 1 | 12—5 | 9 |
| „დინამო“ მ. | 7 | 3 | 3 | 1 | 11—7 | 9 |
| „ქაირათი“ | 7 | 3 | 3 | 1 | 7—5 | 9 |
| „ფახთაქორი“ | 7 | 3 | 2 | 2 | 9—8 | 8 |
| ცსკა | 7 | 2 | 3 | 2 | 10—9 | 7 |
| „არარატი“ | 7 | 2 | 3 | 2 | 9—8 | 7 |
| „ტორპედო“ | 7 | 1 | 5 | 1 | 4—4 | 7 |
| „ნისტრუ“ | 7 | 3 | 1 | 3 | 12—14 | 7 |
| „კარპატი“ | 7 | 3 | 0 | 4 | 9—11 | 6 |
| „ჩერნომორეცი“ | 7 | 2 | 2 | 3 | 9—13 | 6 |
| „დინამო“ თბ. | 7 | 2 | 1 | 4 | 6—11 | 5 |
| „ზარია“ | 7 | 1 | 2 | 4 | 6—9 | 4 |
| „სპარტაკი“ | 7 | 2 | 0 | 5 | 4—9 | 4 |
| „დნეპრი“ | 7 | 0 | 4 | 3 | 3—9 | 4 |

# ერთ გოლს დასჯერდნენ

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 26 მაისი.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „მეტალურგი“ (ლიპეცკი) 1:0 (1:0).

„ტორპედო“: გაბელია, აბზიანიძე, ქუთათელაძე, ბერულავა, კოხონელიძე, ოქროპირაშვილი, ქვირია, შელია, ფესტვენიძე, ხერხაძე, გაბიჩვაძე.

„მეტალურგი“: სუდაკოვი, გუბარევი, შვეცოვი, დვურეჩენსკი, შალნიოვი, ნოზდრინი, ბერნიკოვი (სერებრიანსკი), შარდიკინი, ალიოხინი, სილოხინი, ბუგაკოვი.

მსაჯი ე. ვარივშინი (მოსკოვი).

დუბლიორები — 1:1.

სტუმრად ზედიზედ წაგებული ორი მატჩის შემდეგ ქუთაისელებს ძალიან სჭირდებოდათ მოგება სატურნირო ცხრილში მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მათ 2 ქულა აიღეს კიდეც, მაგრამ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ გუნდს გაცილებით უფრო დამაჯერებელი, უკეთესი ანგარიშით შეეძლო გამარჯვება, საამისოდ კი საჭირო იყო მეტი სიზუსტის გამოჩენა შეტევის დამამთავრებელ ფაზაში.

მასპინძლებს დასაწყისშივე შეეძლოთ ანგარიშის გახსნა, ვინაიდან პირველი 15 წუთის მანძილზე ისინი მეტოქის კარს არ მოსცილებიან და ბევრი სახიფათო მომენტიც შექმნეს. გოლის გატანა მოხერხდა მხოლოდ 21-ე წუთზე, როცა შელიამ დაახლოებით 15 მეტრიდან ზუსტად დაარტყა ბურთი „მეტალურგის“ კარში.

ტაიმის დასასრულამდე იმავე შელიას და მის პარტნიორებსაც რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი შექმნათ ანგარიშის გასაზრდელად, ლიპეცკელთა კარი კი აუღებელი რჩებოდა. ამ ხნის მანძილზე მეტალურგებს თითქმის არ ჰქონიათ საპასუხო ბურთის გატანის შესაძლებლობა, მაგრამ 44-ე წუთზე მათი ერთ-ერთი კონტრშეტევისას ტორპედოელები იღბლად გადაურჩნენ გოლს.

შესვენების შემდეგ მასპინძლები კვლავ დიდი ტერიტორიული უპირატესობით თამაშობდნენ, ბევრს და აქტიურად მოძრაობდნენ, განსაკუთრებით გამოირჩეოდა ნახევარდაცვის რგოლი, მაგრამ ვერ შეძლეს სუდაკოვის კარის აღება. ეს უკანასკნელი უშეცდომოდ და ნამდვილი თავგანწირვით თამაშობდა.

შ. ნიჟარაძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ლიპეცკელთა კარს უტევს ქუთაისელთა თავდამსხმელი რ. გაბიჩვაძე.

ლ. ფაჩუაშვილის ფოტო.



ასე დამთავრდა: „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „ზვეზდა“ (პერმი) 2:2, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) 2:1, „სპარტაკი“ (ნალჩიკი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 2:1, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 2:0, „პამირი“ (დუშანბე) — „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) 2:0, „სტროიტელი“ (აშხაბადი) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 2:2.

## I ლიგა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 28 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ნეფთჩი“ (ბაქო) | 9 | 7 | 1 | 1 | 11—3 | 15 |
| ასკ (დონის როსტოვი) | 8 | 6 | 1 | 1 | 15—5 | 13 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 9 | 5 | 2 | 2 | 12—7 | 12 |
| „ტავრია“ (სიმფეროპოლი) | 8 | 4 | 3 | 1 | 12—5 | 11 |
| „დინამო“ (მინსკი) | 8 | 5 | 1 | 2 | 13—8 | 11 |
| „შინიკი“ (იაროსლავლი) | 9 | 4 | 3 | 2 | 10—9 | 11 |
| „კუზბასი“ (კემეროვო) | 9 | 5 | 1 | 3 | 11—11 | 11 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 8 | 5 | 0 | 3 | 13—6 | 10 |
| „ზვეზდა“ (პერმი) | 9 | 4 | 2 | 3 | 13—12 | 10 |
| „სპარტაკი“ (ნალჩიკი) | 8 | 3 | 3 | 2 | 6—5 | 9 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 9 | 4 | 1 | 4 | 10—11 | 9 |
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 9 | 3 | 2 | 4 | 6—11 | 8 |
| „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) | 8 | 3 | 1 | 4 | 12—14 | 7 |
| „სტროიტელი“ (აშხაბადი) | 9 | 2 | 2 | 5 | 9—12 | 6 |
| „პამირი“ (დუშანბე) | 9 | 2 | 2 | 5 | 8—12 | 6 |
| „მეტალურგი“ (ლიპეცკი) | 8 | 1 | 3 | 4 | 6—11 | 5 |
| „ყუბანი“ (კრასნოდარი) | 8 | 1 | 3 | 4 | 10—17 | 5 |
| „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) | 8 | 1 | 2 | 5 | 5—8 | 4 |
| „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) | 9 | 0 | 4 | 5 | 7—15 | 4 |
| „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) | 8 | 1 | 1 | 6 | 8—15 | 3 |

## ფეხბურთი

### 2:1

თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე სსრ კავშირის თასის გათამაშების საპასუხო შერვედფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო“ და ოდესის „ჩერნომორეცი“. გაიმარჯვეს მასპინძლებმა 2:1 (პირველ მატჩში — 2:0). ამრიგად, თბილისელი ფეხბურთელები მეოთხედფინალში გავიდნენ.

# ყველა მოგება და... II ადგილი

ცხაკაიაში დამთავრდა პიონერრაზმეულების მოჭადრაკეთა რესპუბლიკური შეჯიბრება „მსოფლიო ჩემპიონთა პრიზზე“. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის № 1 ექსპერიმენტული საშუალო სკოლის (მწვრთნელი შ. ინწკირველი), ქუთაისის 1-ლი (თ. ხარლამპიდი), ბათუმის მე-20 (გ. მარქარიანი), გორის 1-ლი (ა. ბუხრიკიძე), ზუგდიდის 1-ლი (ჟ. მზარელუა), ცხაკაიას 1-ლი (ო. თვალთვაძე) და სამტრედიის რაიონის სოფ. ბაშის (ა. ხაზარაძე) საშუალო სკოლების გუნდები. უნდა ეთამაშათ აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და რუსთავის კოლექტივებსაც, მაგრამ იქ უძლიერესი გუნდების გამოსავლენად შესარჩევი შეჯიბრებები არ ჩაუტარებიათ.

სამტრედიის რაიონის კომკავშირისა და ფიზკულტურის კომიტეტებმა კი გამართეს შესარჩევი შეჯიბრება, სადაც სოფ. ბაშის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა ისახელეს თავი. სოფლის ნორჩმა მოჭადრაკეებმა ცხაკაიაში გამოცდილება შეიძინეს, პირველად სცადეს ბედი დიდ შეჯიბრებაში.

I ადგილისთვის ბრძოლა ძირითადად თბილისისა და ქუთაისის წარმომადგენელთა შორის მიმდინარეობდა. როცა ერთმანეთს შეხვდნენ, მათ ხუთ-ხუთი ბრძოლა ჰქონდათ მოგებული. ქუთაისელებს ხელს აძლევდათ გამარჯვება ანგარიშით 4:1. მათ გაიმარჯვეს, ოღონდ ანგარიშით 3:2.

I ადგილი 26 ქულით დაიკავა თბილისის გუნდმა (გ. ხომერიკი, ი. კუზმინი, ა. თოფურია, ბ. გოროზია, თ. ებანოიძე). იგი ივნისის პირველ ნახევარში მოგილიოვში „მსოფლიო ჩემპიონთა პრიზის“ საკავშირო გათამაშების ფინალში გამოვა.

ქუთაისის გუნდმა ყველა შეხვედრა მოიგო, მაგრამ II ადგილზე გავიდა. მას 24,5 ქულა დაუგროვდა. ნორჩმა ქუთაისელმა მოჭადრაკეებმა მ. ბიბილაძემ, შ. ასათიანმა, ვ. და ლ. ფაჩუაშვილებმა და გ. გიორგაძემ დიდი წარმატებით ითამაშეს. ვ. ფაჩუაშვილმა და გიორგაძემ მეორე თანრიგის ნორმატივი შეასრულეს.

სამწუხაროდ, შეჯიბრების დებულებაში არ იყო გათვალისწინებული დამატებითი შეხვედრა გამარჯვებულ გუნდსა და II ადგილზე გასულ კოლექტივს შორის, რომელსაც ყველა შეხვედრა მოგებული აქვს, თუმცა ამას რეკომენდაციას უწევს საჭადრაკო კოდექსი.

III ადგილი 16,5 ქულით დაიკავა გორის გუნდმა (ხ. ვანიშვილი, ვ. ქუთიძე, ზ. ემელიანოვი, ზ. ბოჭორიშვილი, ნ. ხუბულური). შემდეგ ადგილებზე არიან ცხაკაიას (15 ქულა), ზუგდიდის (10,5), ბათუმის (9,5) და ბაშის (3) გუნდები.

ცალკეულ დაფებზე წარმატებით ითამაშეს: პირველ დაფაზე — ხომერიკმა (5 ქულა 6-დან), მეორეზე — კუზმინმა (5,5), მესამეზე — თოფურიამ და ვ. ფაჩუაშვილმა (5,5-5,5), მეოთხეზე — გიორგაძემ (5), მეხუთეზე — ლ. ფაჩუაშვილმა (6). აღსანიშნავია, რომ პირველობის 35 მონაწილიდან ცხრა უმაღლესი სპორტული ოსტატობის მე-3 რესპუბლიკური სკოლის აღსაზრდელი იყო, გამარჯვებული გუნდი კი მთლიანად ამ სკოლის წარმომადგენლებისგან შედგებოდა.

საგანგებო ჟიურიმ ყველაზე ლამაზ პარტიად მიიჩნია გ. ხომერიკის მოგებული პარტია ხ. ვანიშვილთან.

კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს ცხაკაიას კომკავშირისა და ფიზკულტურის მესვეურთა შესანიშნავი მასპინძლობა. მათ ყოველმხრივ ხელი შეუწყეს მოჭადრაკეებს. მონაწილეებისთვის რაიონის საწარმო-დაწესებულებებმა საგანგებო ჯილდოები დააწესეს.

რ. თავარიანი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: მსოფლიო ჩემპიონთა პრიზის მფლობელი, თბილისის № 1 ექსპერიმენტული საშუალო სკოლის გუნდი (მარცხნიდან) — ი. კუზმინი, ბ. გოროზია, თ. ებანოიძე, გ. ხომერიკი, ა. თოფურია.

ო. ხაბელაშვილის ფოტო.



# ამხანაგური მატჩი მოსკოველებთან

ამხანაგური მატჩების სათამაშოდ ამჟამად თბილისში იმყოფება მოსკოვის უნივერსიტეტის მოჭადრაკეთა გუნდი. მის შემადგენლობაში არიან: ვაჟები — ოსტატები ბ. გულკო, ს. მაკარიჩევი, ს. ჩეჩელიანი, ა. ივანოვი, ი. ვატნიკოვი, ოსტატობის კანდიდატები ს. მიხაილოვი, ი. ბედარიოვი, ვ. ბაირამოვი; ქალები — ოსტატობის კანდიდატები რ. პაპივოდა, ტ. ესკოვა.

შაბათ-კვირას ჭადრაკის სასახლეში სტუმრები ორწრიან მატჩში შეხვდნენ საქართველოს ნაკრებს. მასპინძელთა ღირსებას იცავდნენ: ვაჟები — საერთაშორისო ოსტატი რ. ჯინჯიხაშვილი, ოსტატები ე. უბილავა, ა. ბუსლაევი, ა. ტუზოვსკი, ა. ბოკუჩავა, ოსტატობის კანდიდატები ე. მიქაელიანი, გ. ზაიჩიკი, ზ. მიქაძე; ქალები — ოსტატი ც. კობაიძე, საერთაშორისო ოსტატი ა. ჩაიკოვსკაია (მეორე მატჩში ეს უკანასკნელი ოსტატმა თ. ხუგაშვილმა შეცვალა).

შეხვედრა ჩვენმა ნაკრებმა მოიგო — 11:9 (ორივე მატჩი დამთავრდა ერთნაირი ანგარიშით — 5,5:4,5). ბოკუჩავამ სძლია ვატნიკოვს, ზაიჩიკმა — ბედარიოვს, მიქაძემ — ბაირამოვს (თითოეულმა — ანგარიშით 1,5:0,5), ხუგაშვილმა — ესკოვას (1:0), ჯინჯიხაშვილი დამარცხდა გულკოსთან, მიქაელიანი — მიხაილოვთან (თითოეულმა — 0,5:1,5). ყველა სხვა მიკრომატჩი ყაიმით დამთავრდა.

გუშინ მოსკოველმა მოჭადრაკეებმა დაათვალიერეს მცხეთა, იყვნენ გორში. დღეს სტუმრები შეხვდებიან თბილისის უნივერსიტეტის მოჭადრაკეთა ნაკრებს.

თ. ნინოშვილი.

# ნორჩი მოჭადრაკის წარმატება

ჩერნიგოვში დამთავრდა „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატი. შეჯიბრების 14 მონაწილეს შორის გამოცდილი საერთაშორისო ოსტატი თ. გოლოვეიც (მინსკი) იყო.

სპორტსაზოგადოების ჩემპიონის სახელი მოიპოვა ოსტატობის კანდიდატმა ბ. სამაგანოვამ (ფრუნზე), რომელმაც 11,5 ქულა მოაგროვა.

წარმატებით ითამაშა თბილისის 54-ე საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლემ, 13 წლის რუსუდან გეგიძემ (მწვრთნელი — ოსტატი ა. ბუსლაევი). ნორჩი მოჭადრაკე ჩემპიონს მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩა. მან 9 პარტია მოიგო და 4 ყაიმით დაამთავრა. პირველთანრიგოსანი მოჭადრაკისთვის ეს თვალსაჩინო მიღწევაა.

გოლოვეი 10,5 ქულით III ადგილზეა.

ი. გელენიძე.



ს უ რ ა თ ზ ე: რუსუდან გეგიძე.

# ანდრეიკოს ათი მოგება

არკო დი რივა, 27 მაისი. იტალიის ამ პატარა საკურორტო ქალაქში დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი საერთაშორისო შაშში. კონტინენტის უძლიერესი მოშაშის სახელი მოიხვეჭა რიგელმა დიდოსტატმა ა. ანდრეიკომ, რომელმაც ბოლო 6 პარტია მოიგო და საბოლოოდ 11 ქულა დააგროვა 12-დან. მან სულ 10 პარტია მოიგო და მხოლოდ მეორე და მესამე პრიზიორებთან შეხვედრები დაამთავრა ზავით.

გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა მინსკელი დიდოსტატი ა. განტვარგი. ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ჰოლანდიელმა ფ. დროსტმა — 9 ქულა.

მომდევნო ორ ადგილზე გავიდნენ პ. ბერგსმა (ჰოლანდია) — 7,5 ქულა, და ო. ფერპოსტი (ბელგია) — 6,5.

შაშის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელი კომიტეტის აქ გამართულ კონგრესზე დადგინდა მსოფლიო ჩემპიონთან მატჩის პრეტენდენტთა მორიგი ტურნირის ვადები. ეს შეჯიბრება წლეულს ნოემბერში მოეწყობა სსრ კავშირში.

# [illegible]-74

ვილნიუსი, 26 მაისი. 23 წლის სიმფეროპოლელმა დ. ტრიშინმა ერთი კვირის განმავლობაში ორ საერთაშორისო ველორბოლაში გაიმარჯვა: ჯერ მინსკში ჯგუფურ შეჯიბრებაში აჯობა ყველას, დღეს კი ლიტვის დედაქალაქში გამართულ კრიტერიუმში დაიკავა I ადგილი. ახალი რაიონის ლაზდინაის გარშემო მოწყობილ იდეალურ ტრასაზე მან 21 წრიდან 6 მოიგო, თანაც — 3 უკანასკნელი. ტრიშინი და მინსკში მოასპარეზე რამდენიმე სხვა ველოსიპედისტი ვილნიუსის საერთაშორისო რბოლებში ბოლო დღეს ჩაებნენ. შეჯიბრება კი მართლაც საინტერესო იყო: მასში სსრ კავშირის, გდრ-ის, პოლონეთის, რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის ასზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა. სამი რბოლის ჯამში ყველას აჯობა ერევნელმა ნ. ავეტისიანმა, რომელსაც ასპარეზობის დღეებში შეუსრულდა 25 წელი. ამ წარმატებას მან უმთავრესად 120-კილომეტრიან რბოლაში გამარჯვებით (2:30.52) მიაღწია. 30 კილომეტრზე რიგ-რიგი სტარტით შეჯიბრებაში საუკეთესო იყო ი. კრავჩენკო (მოსკოვის ოლქი) — 43.20,3.



# 16 ფინალისტი

WM 74

## საქმოსნების შემოსევა

ყოველი მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ იტალიისა და დასავლეთ გერმანიის კლუბები კალიებივით შეესევიან ხოლმე შვეციის ეროვნულ გუნდს, საუკეთესო ფეხბურთელებს ნთქავენ და წასვლისას სიცარიელეს ტოვებენ.

შვეციის მოყვარული სპორტსმენები წლეულს საკმაოდ იოლ შესარჩევ ჯგუფში მოხვდნენ და ისევე, როგორც 1970 წელს, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გავიდნენ. და მაინც მათ დიდი ჯაფა დაადგათ.

კენჭისყრამ შვედები შესარჩევ ჯგუფში ავსტრიასთან და უნგრეთთან მოახვედრა. ავსტრიის პირველი ლიგა სავსეა უცხოელებით, რომლებიც ამ ქვეყნის ნაკრებში ვერ ითამაშებენ, ხოლო უნგრელ ფეხბურთელთა საბრძოლო სულისკვეთებამ ბოლო ხანს ძალიან იკლო. ფინალში გასასვლელად შვეციას ბოლო შესარჩევი მატჩი პაწაწინა მალტის გუნდისთვის უნდა მოეგო მხოლოდ და მხოლოდ ორი ბურთის სხვაობით.

ერთი წლით ადრე შვედებმა თავიანთს მინდორზე პირდაპირ გაანადგურეს მალტელები (7:0), მაგრამ ვალეტაში მალტის გუნდმა, რომელსაც ექვს შესარჩევ მატჩში ერთი გოლიც არ ჰქონდა გატანილი, როგორც იქნა, აილო მეტოქის კარი. ეგ კი არა, მასპინძლებმა იმდენი მოახერხეს, რომ შვედებს ორზე მეტი გოლი არ გაატანინეს და ეს უკანასკნელნი იძულებული გახდნენ დამატებითი მატჩი ეთამაშათ ავსტრიელებთან.

ერთი წლით ადრე ედსტრიომმა საბჭოთა ნაკრებთან შეხვედრაში „ჰეთ-თრიკი“ გააკეთა, რომლის წყალობითაც მისმა გუნდმა შეხვედრა ფრედ დაამთავრა — 4:4. შვეციის ნაკრების მენეჯერს ჯორჯ ერიკსონს იმედი აქვს, რომ ედსტრიომი სხვა შეხვედრებშიც გამოავლენს თავის ოსტატობას.

ჭეშმარიტი ოსტატია გუნდის კიდევ ერთი თავდამსხმელი სანდბერგი. მარდი, სწრაფი, მოქნილი ფეხბურთელი, შესანიშნავად აკეთებს ცრუ მოძრაობებს. ბრაზილიის ნაკრების ცენტრალურმა მცველმა ლუის პერეირამ სანდბერგის შესახებ თქვა: „იგი საუკეთესოა ევროპელ ფორვარდთა შორის, ვის წინააღმდეგაც მე მითამაშია“.

სწორედ სანდბერგმა გაიტანა პირველი გოლი ავსტრიელებთან შეხვედრაში.

ფინალურ მატჩებში ყველაფერი დამოკიდებულია გუნდის სამ ვეტერან ფეხბურთელზე — კინდვალზე, ლარსონსა და გრანზე. სამივე ოცდაათს გადაცილებულია, სამივენი პროფესიონალებში თამაშობდნენ და ფულით გული რომ იჯერეს, შინ დაბრუნდნენ.

კინდვალი უწინ თავდამსხმელი იყო, მაგრამ ახლა მინდვრის შუაგულში თამაშობს. მიუხედავად ამისა, იგი ზოგჯერ წინ გადის ლამაზი და საჭირო გოლების გასატანად. ნახევარდაცვაში „სადირიჟოროდ“ გადავიდა გრანიც, ყოფილი თავდამსხმელი. იგი მაღალია, ზორბა, იცის თავისი საქმე, ძალიან ძლიერად ურტყამს და შეუძლია მეტოქის კარს თავს დაესხას.

ლარსონი ერთ-ერთი ძირითადი ბომბარდირია. საუკეთესო პერიოდი დასავლეთ გერმანიის „შტუტგარტში“ გაატარა, ახლა კი თავის ყოფილ კლუბს „მალმიოს“ დაუბრუნდა. რამდენიმე წლის განმავლობაში შვეციის პირველი ლიგის უძლიერესი ბომბარდირი იყო. იგი საუკეთესოა ამ სამეულში, ყველაზე ოსტატურად თამაშობს და ალბათ მთლიანად გამოავლენს თავის შესაძლებლობებს.

კარში დგას ჰელსტრიომი. იგი ძლიერია საჰაერო ბრძოლაში, რასაც ტურნირში დიდი მნიშვნელობა მიენიჭება. სტოპერია მეხიკოს მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე, ვეტერანი ფეხბურთელი ნორდკვისტი. მას 70-ზე მეტი მატჩი აქვს ჩატარებული ნაკრებში და გუნდში ყველაზე გამოცდილი მოთამაშეა.

„კალიებს“ დღესაც არ დაუნებებიათ თავი შვედებისთვის. ქვეყნის 1973 წლის ჩემპიონმა „ატვიდაბერგმა“ ბოლო რამდენიმე თვეში დაკარგა სამი თავდამსხმელი — მაგნუსონი, სანდბერგი და ტორსტენსონი, რომლებიც დასავლეთ გერმანიის კლუბებში გადავიდნენ. ედსტრიომი ახლა ჰოლანდიის „ეინდჰოვენში“ თამაშობს.

ითქვა, რომ ერიკსონი მსოფლიო პირველობაზე წაიყვანს მარტო იმ ფეხბურთელებს, რომლებიც შინ თამაშობენ, მაგრამ ეს მხოლოდ ჭორია. მარტში გფრ-ისა და ჰოლანდიის კლუბებმა პროფესიონალები არ გაუშვეს შვეციის გუნდში სათამაშოდ, რომელსაც იტალიაში ტურნე ჰქონდა, მაგრამ ნაკრების ხელმძღვანელები მომავალი თვისთვის ელოდებიან მათ.

ურუგვაი სასტიკად დამარცხდა ინდონეზიასთან და ავსტრალიასთან, ხოლო ბულგარეთსა და ჰოლანდიას ჯერ კიდევ მოუწევთ იმის დამტკიცება, რომ მედლებისთვის ბრძოლის უნარი შესწევთ. ასე რომ, შვეციამ შეიძლება ექსპერტებს სიურპრიზი შესთავაზოს და მესამე ჯგუფის ორი საგზურიდან ერთი დაისაკუთროს.

ტერი ბაშელი.

• • •

### გუნდის შემადგენლობა

ძირითადი მოთამაშეები: ჰელსტრიომი („ჰამერბი“), ანდერსონი („ოსტერი“), კარლსონი („ატვიდაბერგი“), ნორდკვისტი („ეინდჰოვენი“), ოლსონი („ატვიდაბერგი“), გრანი („გრასჰოპერსი“), კინდვალი („ნორჩიოპინგი“), ტორსტენსონი („ბაიერნი“), ლარსონი („მალმიო“), ედსტრიომი („ეინდჰოვენი“), სანდბერგი („კაიზერსლაუტერნი“).

მათს გარდა გუნდში არიან: მეკარე ჰეგბერგი („ოსტერი“); მცველები: მალბერგი („ელფსბორგი“), გრიპი („სირიუსი“), ჰულტი („ნორჩიოპინგი“); ნახევარმცველები: ტომი სვენსონი („ოსტერი“), ჰარი სვენსონი („იურგორდენი“), ტაპერი („მალმიო“); თავდამსხმელები: მაგნუსონი („კაიზერსლაუტერნი“), ოლსტრიომი („ელფსბორგი“), ეკლუნდი („ანტვერპენი“), პალსონი („გოტენბერგი“).

## ახალი ამბავი-74

● ტოკიო, 26 მაისი. სსრ კავშირის ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრები განაგრძობს ტურნეს იაპონიაში. დღეს იგი მასპინძელი ქვეყნის პირველ ნაკრებ გუნდს შეხვდა და გაიმარჯვა ანგარიშით 3:0 (15:11, 15:13, 15:8).

● ჟიტომირი, 26 მაისი. მდინარე ტეტერევზე სსრ კავშირის თასისთვის ბრძოლაში ბაიდარებითა და კანოეებით მოასპარეზე 240 ნიჩბოსანი ჩაება. 18 წლის ტ. კორშუნოვამ (მოსკოვის ოლქი) ორჯერ გაიმარჯვა: ჯერ ერთადგილიანი ბაიდარებით 500 მეტრზე შეჯიბრებაში აჯობა ყველას, მერე კი სტუდენტ ტ. ლევაკოვასთან ერთად — ორადგილიანებით ასპარეზობაში. ორმაგ წარმატებას მიაღწია ოდესელმა ს. პეტრენკომაც. მან კანოისტთა შორის გაიმარჯვა 500 და 1000-მეტრიან დისტანციებზე.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობაში მზადდება და უახლოეს ხანში გამოვა ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიის ამსახველი [illegible] „ლელო“ დღევანდელი ნომრიდან იწყებს რამდენიმე თავის ბეჭდვას წიგნიდან „ნიკეს ცხრა გაზაფხული“.

მუნდიალი



## ისტორიიდან

# ათი ხომალდი გულშემატკივრებისთვის

**(1930 წ. მონტევიდეო. ფინალური მატჩის მთავარი მსაჯი ჟან ლანჟენიუ, ბელგია)**

## ურუგვაი—არგენტინა 4:2

„პირველ მსოფლიო ჩემპიონატში ნახევარფინალურ და ფინალურ შეხვედრებს შორის შუალედი მხოლოდ სამი დღე იყო, მაგრამ ეს დრო მე სავსებით მყოფნიდა საიმისოდ, რომ ერთი პირადი საქმის მოსაგვარებლად მონტევიდეოდან ბუენოს-აირესში ჩასვლა მომესწრო. არგენტინელები გულმოდგინედ ემზადებოდნენ ფინალში გასულ თანამემამულეთა მხარდასაჭერად, ხოლო მთავრობამ ბუენოს-აირესის, როზარიის, ლა-პლატისა და მარ-დელ-პლატის ფეხბურთის გულშემატკივრებს ათი ხომალდი გამოუყო ურუგვაის დედაქალაქ მონტევიდეოში გასამგზავრებლად, სადაც ერთმანეთს უნდა შებმოდნენ „დიდი მოწინააღმდეგენი“ — ურუგვაისა და არგენტინის ეროვნული გუნდები.



ქალაქი დიდი მატჩისთვის ემზადებოდა. მე კი ამასობაში, ბუენოს-აირესში ჩასვლის მეორე დღესვე, მონტევიდეოდან დეპეშა მივიღე. ვკითხულობდი და თვალებს არ ვუჯერებდი: დეპეშაში შავით თეთრზე ეწერა, რომ ფინალური მატჩის მთავარ მსაჯად ვიყავი დანიშნული. ეს ჩემთვის დიდად სასიამოვნო და მოულოდნელი პატივი იყო, თუმცა ახალმა დავალებამ ბევრი საზრუნავიც გამიჩინა. ხომალდი, რომლითაც მონტევიდეოდან ევროპაში უნდა დავბრუნებულიყავი, გადიოდა ფინალური შეხვედრის დღეს, 3 საათზე, ზუსტად იმ დროს, როცა სტადიონზე ფინალური მატჩი უნდა დაწყებულიყო...

მაგრამ ატლანტის ოკეანის ხომალდების გაერთიანებათა კომპანიამ, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატს ემსახურებოდა, დახმარება აღმითქვა და დამპირდა, რომ ხომალდს მონტევიდეოდან ევროპისკენ 2 საათით გვიან გაუშვებდა. ახლა, რაკი გული საგულეს მქონდა, უკვე შემეძლო მშვიდად დავკვირვებოდი გამარჯვების ჟინით შეპყრობილ არგენტინელ გულშემატკივრებს, საღი გონებით აღმექვა და განმეცადა ყველაფერი, რაც იმ დღეებში ბუენოს-აირესში ხდებოდა. სადღესასწაულოდ გამოწყობილი ფეხბურთის მოყვარულებით სავსე ქუჩები და ნავსადგური თვალწარმტაცი სანახავი იყო. ქუჩებში დაჰქონდათ უზარმაზარი ტრანსპარანტები წარწერით: „არგენტინა — კი, ურუგვაი — არა!“ ყოველ ნაბიჯზე წამდაუწუმ სკდებოდა პეტარდები; არც ნაირ-ნაირი ფეიერვერკები აკლდა ქალაქის ცენტრალურ მოედნებსა და ქუჩებს. ტემპერამენტიან სამხრეთამერიკელთა მხიარულება და ცეკვებით შეზავებული ჟრიამული ჩემთვის, ევროპელისთვის, მართლაც განმაცვიფრებელი იყო და ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებდა.

... მე უკვე გემბანზე ვიყავი, როცა გულშემატკივართა მთელი არმია დაიძრა, რათა იერიშით აეღო ხომალდი. ყველას უნდოდა მონტევიდეოში წამოსვლა, მათ შორის უბილეთოებსაც კი. ერთმა სასოწარკვეთილმა არგენტინელმა მაშინაც კი სცადა გემბანზე გადმოხტომა, როცა ხომალდი ის იყო შორდებოდა ნაპირს, მაგრამ წამით დააგვიანა და წყალში მოადინა ტყაპანი. თავგანწირული გულშემატკივარი წყლიდან ამოიყვანა სწორედ იმ პოლიციელმა, მანამდე იგი სამჯერ რომ დააბრუნა ნაპირისკენ... და ამით ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა.

ბუენოს-აირესის პორტში და, საერთოდ, ფეხბურთის ციებცხელებით შეპყრობილ არგენტინაში იმ დღეს მართლაც ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა, მაგრამ...

მხოლოდ მონტევიდეოში ჩასვლის მერე გავიგე, რომ ბედი მქონია: ბუენოს-აირესიდან წამოსული ათი ხომალდიდან რვა ნისლში მოჰყვა და ლა-პლატის ყურეში გაიჩხირა. ეს ხომალდები მონტევიდეოში რომ ჩამოვიდნენ, ფინალური მატჩი უკვე დამთავრებული იყო...

ურუგვაელმა საბაჟოს მოხელეებმა ყოველი არგენტინელი, ვინც კი მონტევიდეოში დროულად ჩამოსვლა მოახერხა, გულდასმით გაჩხრიკეს. ასე იმიტომაც ფრთხილობდნენ, რომ ეშინოდათ, ჩამოსულებს რაიმე იარაღი არ ჰქონდეთო. საქმე ის იყო, რომ მსოფლიო პირველობის დაწყებამდე როგორც არგენტინის, ისე ურუგვაის პრესაში გაჩაღებულმა კამპანიამ ამ ორ სახელმწიფოს შორის ძალიან გაამწვავა ურთიერთობა და თითქმის მტრობა ჩამოაგდო. შეჯიბრების ორგანიზატორებმა ყოველგვარი უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად ფინალური მატჩისთვის 100 ათასის ნაცვლად მხოლოდ 90 ათასი ბილეთი გაყიდეს.

მაგრამ, როგორც შემდეგ გამოირკვა, ეს სიფრთხილე ამაო გამოდგა. უსიამოვნო შემთხვევები, თუმცა ისინი სერიოზული არ იყვნენ, თავიდან მაინც ვერ იქნა აცილებული. პირველი გასაჭირი ბურთის არჩევის დროს ვიგრძენი. ურუგვაელებიცა და არგენტინელებიც გარს შემომეხვივნენ და თავიანთ ბურთებს მთავაზობდნენ; ორივე მხარე დაჟინებით მიმტკიცებდა, ჩვენი ბურთი უკეთესიაო. მაგრამ ასეთ შემთხვევაში დავის გადაწყვეტისთვის მთავარი ბურთების ავკარგიანობა როდი იყო. ამიტომ, როცა გუნდები მინდორზე გამყავდა, აქეთ-იქით იღლიებში ორი ბურთი მქონდა ამოჩრილი და კონფლიქტი კენჭისყრამ გადაწყვიტა... ერთი ტაიმი გუნდებმა ითამაშეს ურუგვაული, ხოლო მეორე — არგენტინული ბურთით.

პირველი ტაიმი არგენტინელებმა მოიგეს — 2:1. ურუგვაელებმა მეტოქის მეორე გოლი არასწორად მიიჩნიეს და პროტესტს მიცხადებდნენ, თუმცა მაყურებლები, ჩემდა საბედნიეროდ, წესიერად იქცეოდნენ და ამ ამბავს ინციდენტი არ მოჰყოლია. პირველი ტაიმის შემდეგ შესვენებაზე რომ მივდიოდი, შევამჩნიე, ურუგვაელებიდან ზოგიერთი ცხარე ცრემლით ტიროდა. გული მომიკვდა, მაგრამ რა მექნა? გუნდის კაპიტან ნაზაცის პროტესტის შემდეგ მე მინდორზევე, თამაშის დროს მოვეთათბირე ჩემს კოლეგა კრისტოფს, რომელმაც უყოყმანოდ დამიდასტურა, გადაწყვეტილება ზუსტი და სამართლიანიაო. ასე რომ, მიუხედავად ურუგვაელი გულშემატკივრებისადმი უსაზღვრო თანაგრძნობისა, სინდისი ოდნავაც არ მქენჯნიდა.

მეორე ტაიმში ურუგვაელები ვეღარ ვიცანი. ცისფერმაისურიანთა გამანადგურებელმა იერიშებმა თამაშში დიდი გარდატეხა შეიტანა. მასპინძლებთან ერთად, ბუნებრივია, მეც ხშირი სტუმარი ვიყავი მინდვრის არგენტინელთა ნახევარზე. ხოლო ურუგვაელთა კარი მხოლოდ ერთხელ აღმოჩნდა საფრთხეში და მაშინაც ძელმა იხსნა. ამ დროს ანგარიში იყო 3:2 მასპინძელთა სასარგებლოდ. საბოლოოდ კასტრომ დააგვირგვინა ურუგვაელთა გამარჯვება — 4:2.

... სტადიონი ბობოქრობდა. ტრიბუნებზე გამაყრუებელი ტაში გრგვინავდა. ორივე გუნდი გამწკრივდა „გამარჯვების კოშკთან“, სადაც ურუგვაის დროშა ნელ-ნელა აღიმართა ანძაზე. გულაჩუყებული, სიხარულისგან გაოგნებული ურუგვაელები თავიანთ ჰიმნს მღეროდნენ. მათი სუსტი, არაორგანიზებული „ანსამბლის“ ხმა საერთო ორომტრიალსა და გუგუნში ინთქმებოდა.

... ამ დროს მე კისრისტეხით გავრბოდი გასახდელისკენ. ჩვენი ხომალდი უკვე პორტში უნდა მდგარიყო. ელვის სისწრაფით გამოვიცვალე ტანსაცმელი და კრისტოფთან ერთად გამოვვარდი გარეთ, სადაც პოლიციის ორი მანქანა გვიცდიდა. კანონის დამცველებმა ქუჩაში მოძრაობა შეაჩერეს. პირდაპირ მივფრინავდით ქალაქის მოედნებზე და ქუჩებში, სადაც ხალხი უკვე იყრიდა თავს გამარჯვების აღსანიშნავად. მაგრამ პორტში უსიამოვნო ამბავი გველოდა: ხომალდი „ჯულიო“, რომელსაც ევროპაში უნდა წავეყვანეთ, არსად ჩანდა. მოგვიანებით შევიტყვეთ, რომ იგი ლა-პლატის ყურეში გაჩხერილიყო იმ ხომალდებთან ერთად, რომლებსაც ფინალურ მატჩზე დასასწრებლად მონტევიდეოში მოჰყავდათ ათასობით არგენტინელი გულშემატკივარი. მოკლე დეპეშა იუწყებოდა: „მონტევიდეოში ხვალ დილით ჩამოვალთ“.

ის, რაც მატჩის შემდეგ მონტევიდეოს ქუჩებში ხდებოდა, ევროპელის თვალებს ჯერ არ ენახა: ქალაქი სავსე იყო სიხარულისგან თავბრუდახვეული ხალხით; ირგვლივ დროშებისა და ლოზუნგების ზღვა იდგა; აფეთქებდნენ პეტარდებს; თავდავიწყებით, უსასრულოდ ცეკვავდნენ და მღეროდნენ; გარემოს ეფინებოდა ხომალდების საყვირების ხმა; ცაში ნაირფერი შუშხუნები ირეოდა. ყოველივე ამაში ოდნავი სიყალბეც არ ერია. მე მჯეროდა, რომ ეს იყო სამხრეთამერიკული ტემპერამენტის გულწრფელი გამოვლინება და ჭეშმარიტი დღესასწაული. ურუგვაის მთავრობამ 30 ივლისი უქმე დღედ გამოაცხადა. მონტევიდეო და მთელი ურუგვაი ზეიმობდა!

... მეორე დღეს, დილით, მონტევიდეოს პორტში ზედიზედ შემოვიდნენ ხომალდები და თან ჩამოიყვანეს დაღლილი, უძილო, იმედგაცრუებული და გაუბედურებული არგენტინელი გულშემატკივრები. ფინალური მატჩის შედეგი მათ უკვე იცოდნენ... მატჩის წაგებამ მთელს არგენტინას თავზარი დასცა, მით უმეტეს, რომ ამ ქვეყნის ფეხბურთის მესვეურები თავიანთ ხალხს დაბეჯითებით ჰპირდებოდნენ გამარჯვებას...

შინისკენ მიმავალმა გზაში შევიტყვე, რომ არგენტინაში რევოლუციამ იფეთქა და მისი პირველი მსხვერპლი პრეზიდენტი ირიგუენა გახდა. ჩემი აზრით, მისი დაცემა მონტევიდეოს მატჩში არგენტინელთა დამარცხებამაც დააჩქარა“.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ფინალური მატჩის წინ ერთმანეთს მიესალმებიან და საჩუქრებს გადასცემენ გუნდების კაპიტნები ნაზაცი (ურუგვაი) და ფერეირა (არგენტინა). შუაშია მატჩის მთავარი მსაჯი ჟან ლანჟენიუ.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 02593